შპს სკოლა ნერგები

საფეხბურთო კლუბი - „ნერგები“

კლუბის ხელმძღვანელი: დავით ბოლქვაძე

2024/25 სასწავლო წელი.

წესდება

1.ზოგადი დებულებები:

1.1.წინამდებარე წესდება (შემდგომში წესდება) განსაზღვრავს სასპორტო კლუბის მუშაობის ძირითად პრინციპებს, საქმიანობის მიმართულებებს, კლუბის ხელმძღანელის, წევრების, უფლება-მოვალეობებს, ასევე კლუბის საქმიანობის სფეროსა და შედეგებს.

1.2.საფეხბურთო კლუბი ნერგები- არის შპს სკოლა ნერგების დისციპლინარულ საბჭოსთან შეთანხმებული, პედაგოგიური საბჭოზე დამტკიცებული კლუბი, რომელიც წარმართავს სასწავლო-საწვრთნო, ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ და აღმზრდელობით პროცესს.

1.3.კლუბი უფლებამოსილია განახორციელოს საქმიანობა, რომელიც ემსახურება კლუბის მიზნებს, ინტერესებს, ორიენტირებულია შედეგზე და არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.

1.4. ქალაქ ბათუმის სკოლა ნერგების - საფეხბურთო კლუბი „ ნერგები “ ემსახურება მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულიზაციას.

1.5. კლუბი ჩამოყალიბებულია განუსაზღვრელი ვადით და თავისი მიზნებიდან გამომდინარე, მოქმედებს საქართველოს ტერიტორიაზე.

1.6.კლუბს აქვს სახელწოდება, ლოგო, დევიზი.

1.7.კლუბის მისამართი საქართველო, ქალაქი - ბათუმი - შპს სკოლა ნერგები.

2. კლუბის მიზნები და ამოცანები:

2.1 ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პოპულიზაცია მოსწავლე-ახალგზრდებს შორის;

2.2 ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება;.

2.3. აქტიური მოსწავლეების აღმოჩენა და მათი შემოქმედებით უნარების განვითარება და ხელშეწყობა;

2.4.მოსწავლეთა თვითრეალიზაციის ხელშეწყობა;

2.5.მოსწავლეთა სასკოლო აქტივობებში ჩართულობის ამაღლება და ხელშეწყობა, სასკოლო ცხოვრების გამრავალფეროვნება;

2.6. მოსწავლეების აკადემიური, სოციალური და ფსიქოლოგიური განვითარების ხელშეწყობა;

2.7 დაგეგვმისა და მართვის უნარების განვითარება;

2.8. კომუნიკაციის უნარის განვითარება;

2.9.საზოგადოების ჩართულობა კლუბის მუშაობაში;

2.10. კავშირების დამყარება ქალაქისა თუ სხვა რეგიონის საფეხბურთო კლუბებთან, შეჯიბრებებსა და ჩემპიონატებში მონაწილეობის მიზნით.

3. კლუბში გაწევრიანება :

3.1 კლუბში წევრობა ნებაყოფლობითია;

3.2 კლუბის წევრი შეიძლება გახდეს სკოლის მოსწავლე, მასწავლებელი, მშობელი, დირექციის წევრი, სკოლაში მოქმედი კლუბები და სხვა, რომელიც იზიარებს კლუბის მიზნებს;

3.3 კლუბის წევრობის მსურველმა უნდა მიმართოს კლუბს წერილობითი ფორმით (განცხადებით და წევრობის მსურველის ანკეტის შევსებით);

3.4 კლუბში გაწევრიანებაზე გადაწყეტილება მიიღება კლუბის ხელმძღვანელის მიერ, სკოლის დირექციასთან შეთანხმებით;

3.5 კლუბის წევრს უფლება აქვს მიიღოს ინფორმაცია კლუბისა და მისი საქმიანობის თაობაზე;

3.6 კლუბის წევრი ვალდებულია მიიღოს მონაწილეობა კლუბის საქმიანობაში, დაიცვას წესდების მოთხოვნები, შეასრულოს დავალებები და კლუბის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები;

3.7კლუბის წევრს უფლებამოსილება უწყდება პირადი განცხადების საფუძველზე, ასევე კლუბის საერთო კრების გადაწყვეტილებით, როდესაც მისი საქმიანობა ეწინააღმდეგება კლუბის მიზნებს და უხეშად არღვევს აღნიშნული წესდების დებულებებს.

3.8. მოსწავლეს, სკოლის დამთავრების შემდეგ.

4.კლუბის სტრუქტურა და მართვა:

4.1კლუბი შედგება კლუბის წევრებისგან;

4.2კლუბს ჰყას ხელმძღვანელი, რომლის უფლებამოსილებაა უხელმძღვანელოს კლუბის საქმიანობას.

4.3 კლუბის ხელმძღვანელი თავისი კომპეტენციის ფარგლებში ხელმძღვანელობს კლუბის საქმიანობას, ერთპიროვნულად.

5. კლუბის მუშაობა

5.1 კლუბი იკრიბება კვირაში 3 დღე; ვარჯიშის ხანგრძლივობა 1,5 – 2 სთ.

5.3 კლუბის შეკრებები აღნიშნულია სიის სახით.

7. კლუბის რეორგანიზაცია და საქმიანობის შეწყვეტა:

7.1 კლუბის რეორგანიზაცია (შეერთება, მიერთება, გამოყოფა გარდაქმნა) ხორციელდება ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით.

7.2 კლუბის ლიკვიდაცია ხდება კლუბის ხელმძღვანელისა და სკოლის დირექციის გადაწყვეტილებით.

დანართი # 1

განცხადების ფორმა კლუბში გაწევრიანების მსურველთათვის

ქალაქ ბათუმის შპს სკოლა
ნერგების ბაზაზე არსებულ
საფეხბურთო კლუბ „ ნერგების“
ხელმძღვანელს, ამავე სკოლის--
------ კლასის მოსწავლის -------
----------მშობლის

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

სურვილი მაქვს, ჩემი შვილი ---------- გაწევრიანდეს საფეხბურთო კლუბ „ნერგებში“. გავეცანი კლუბის წესდებას, ვიზიარებ წესდებასა და მიზნებს.

გთხოვთ, დააკმაყოფილოთ ჩემი სურვილი.

განმცხადებელი: ----------

თარიღი: ----------

დანართი #2

საფეხბურთო კლუბის წევრობის ანკეტა

სახელი, გვარი ----------

დაბადების თარიღი (წელი, თვე, რიცხვი) ----------

საცხოვრებელი ადგილი, მისამართი ----------

საკონტაქტო ტელეფონი ----------